

# სალოგოზო პერიკლი

23

მარტი  
შაბათი

1991

№ 34

(11667)

ეროვნული  
საბჭო



საქართველოს  
1921 წლის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

შპსი 10 კპპ.

## მიმართვა მსოფლიო საზოგადოებრივობისადმი

ამა წლის 18 მარტს სამაჩაბლოში მოხდა ამაზრზენი, საომარი მდგომარეობისთვისაც კი უპრეცედენტო შემთხვევა, ოთხი ახალგაზრდა — მერაბ მინდიაშვილი, ვახტანგ ელბაძე, ზვიად ხაბრელი და ნუგზარ კასრაძე ოსმა ტერორისტებმა ხეზე მიიბეს და ცოცხლად დაწვეს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თავის 1991 წლის 20 მარტის სხდომაზე სათანადო შეფასება მისცა ამ ვანდალურ აქტს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგო დაღუპულთა ხსოვნას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოგმართავთ მსოფლიოს ჰუმანურ საზოგადოებრიობას ხმა აღიმოდლოთ ამ საშინელი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდენტი

## საქართველოს აზერბაიჯანული

### პროვზის მოქალაქეებს!

ძვირფასო თანამემამულენო!  
დღეს თქვენი დღესასწაული — ნოვრუზ ბაირამია, ეს არის ახალი ნაყოფიერების, კეთილდღეობის, სიუხვის, სულიერი აღორძინების დაწყების დღესასწაული.  
ნოვრუზი თითქოსდა ვიღაცის ხმით საუკუნეთა სიორმიდან მგზნებარედ მოგვიწოდებს სიკეთის, მეგობრობის, მშვიდობის, ერთობის, კეთილშობილობისათვის, მერყობის მსგავსად მოსწავებს ყველა იმედისა და ოცნების ახდენას. რაც ესოდენ გვიკრძაბდა ამ დღეებში მომავალი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.  
გილოცავთ დღესასწაულს. დაე მუდამ ნათელი დღეები გედგათ ამინ!

ხრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ხახელით  
ეროვნებათშორის ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე  
გიორგი ბანჩილიძე  
1991 წლის 20 მარტი.

## 31 მარტის რეფერენდუმისათვის

## საქართველოს ახალგაზრდული კავშირის განცხადება

საქართველოს ახალგაზრდულ კავშირს მიიჩნია, რომ რესპუბლიკის ყველა მოქალაქემ მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.  
მიუხედავად მთელი რიგი სიძინელებისა, რომელიც გველის ჩვენი სამართლიანი ბრძოლის გზაზე, საბოლოო მიზანი გამართლებულია.  
საქართველოს თავისუფლება არ ნიშნავს მარტო ქართველების თავისუფლებას. თავისუფალ საქართველოში ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები ერთნაირი მოქალაქეობრივი გარანტიები იქნებიან უზრუნველყოფილინი.  
სწორედ ამიტომ, საქართველოს ახალგაზრდული კავშირი მოუწოდებს საქართველოს ყველა მაცხოვრებელს განურჩევლად ეროვნებისა, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში ხმა მისცეს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### ზოგიერთი დანაშაულისათვის სსსრ-ის განსაკუთრებული ღონისძიების — სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

**საღმადმადოებრივ** რა ჰუმანობისა და კაცობრივობის პრინციპებით, აგრეთვე მოქალაქეების, შრომითი კოლექტივებისა და ორგანიზაციების მოთხოვნით ამის თაობაზე, რომ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა, როგორც დროებითი და იძულებითი ღონისძიება, არ იქნეს გამოყენებული ზოგიერთი დანაშაულისათვის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:  
1. გაუქმდეს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლით (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება), 89-ე მუხლით (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა), 96-ე მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება) და 189-ე მუხლით (ქრთამის აღება).  
2. ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის კანონით 30 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილება:  
1. 24-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, დაიშვება სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, რაც აღნიშნულია ამ კოდექსის მუხლებში, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით სპეციალურად გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში, — აგრეთვე ზოგიერთი სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის“.  
2. 88-ე მუხლის მეორე ნაწილი

დან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.  
3. 89-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.  
4. 96-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.  
189-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში — სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.  
III. იმ განაჩენში, რომლითაც ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული დანაშაულისათვის დადგინდა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა და ამ კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე არ არის მოყვანილი სისრულეში, შემდგომი შეცვლის სიკვდილით დასჯის შეცვლის თავისუფლების აღკვეთით. თხუთმეტ წლამდე ვადით.  
IV. ეს კანონი სამოქმედოდ შეიშალოს იქნეს მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია  
თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

## ქისტეპი სიგარეტებს ექვემდებარება

„ინტერნაციონალი“ საინფორმაციო სააგენტო ვლადიკავკაზიდან იუწყება, რომ ინგუშებმა (ქისტებმა) დაიწყეს ამ სახეობის უკან დაბრუნება, რომლებიც 1944 წლამდე ანუ დეპორტაციამდე მათ ეკუთვნოდათ. გადმოსცემენ, რომ ჩეჩენთ-ინგუშეთის მოსახლეობა აპირებს სადავო ტერიტორიის უკან დაბრუნებას. ამის გამო ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები საბრძოლოდ იწვევიან დასახლებულნი.  
შეგახსენებთ, რომ ვლადიკავკაზის ქალაქგარე რაიონი 1944 წლამდე ჩეჩენთ-ინგუშეთს ეკუთვნოდა და მათ შორის საზღვარი ქალაქ ორჯონიკიძის (დღევანდელი ვლადიკავკაზი) გარეთ გადიოდა. გაუქმებული ჩეჩენთ-ინგუშეთი გროზნოს ოქლად გადაკეთდა, ხოლო ე. წ. ქალაქგარე ტერიტორია ჩრდილოეთ ოსეთს გადაეცა. როდესაც ავტონომიური რესპუბლიკა აღადგინეს, დარგივლებმა, ლეკებმა და ქართველებმა შუი აზიდან უკან დაბრუნებულ ინგუშებს და ჩეჩენებს იმპერიისგან ბოძებული მიწები უკან დაუბრუნეს, მხოლოდ ოსები გაყვრდნენ. ამ ნიადაგზე მომზადარ უსასტიკეს შეტყვევებათა შედეგად დაუბრუნებულა რიცხვი არაფერცის.

ინგუშებს და ოსებს შორის დავას ართულებს შემდეგი გარემოება. 1944 წლიდან ყოფილი ორჯონიკიძე გაიზარდა, ახალი საცხოვრებელი რაიონები აშენდა. ძველი საზღვრის აღდგენა გამოიწვევდა ქალაქ ორჯონიკიძის გაყოფას. ქისტები თანხმები არიან ახალი საზღვარი ვლადიკავკაზის გარე გავიდეს, ოსები ამაზეც უარს ამბობენ. ქისტი ლიდერის ისა კომოვის აზრით, ოსებში არსებული „ანექსიური ბაცია“ მოლაპარაკებას უშედეგოს ხდის, რადგან ოსთა ხელმძღვანელები ამტკიცებენ, ჩვენმა შვილებმა და მეგობრებმა ქისტთა მიწებზე უნდა იცხოვრონ.

დღეს ქისტების რიცხვი 350 ათასია. კიდევ 150 ათასი შუი აზიშია. ჩრდილოეთ ოსეთის რიცხვი 250 ათასია, კიდევ 180 ათასამდე მის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, უმთავრესად საქართველოში. დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ვლადიკავკაზის სადავო ქალაქგარეთა რაიონში მრავალი ქართველი ცხოვრობს. კერძოდ, მართო ზემო კამბილოვსკი და მის გარშემო 100-მდე ქართული ოჯახია. მათ, რა თქმა უნდა, ხელი უნდა შეუწყუთ, რათა ეს ტერიტორია დატოვონ.

## ორი-ორი შაური სსრკ პრეზიდენტის ქუდში

ამა წლის 13 მარტს ქ. სამტრედიამდე ვიგზავრე № 650 მატარებლით თბილისი-ფოთი. № 12

თეთრეულითავე ფული გადავყვინდა.  
ჩემს ვაიკებს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მან ფულთან ერთად საბრუნდენტო გადასახადი მოგვთხოვა. ვთხოვე, აეხსნა. რატომ? რისთვის? გამცილებელმა მირჩია, მიმეძარტა მატარებლის „ბრიგადირისთვის“. მე და ორმა ქართველმა მანდილოსანმა ვთხოვეთ მატარებლის უფროსს ვ. კო-

პაძეს განმარტა ჩვენთვის, საქართველოში ვინ გასცა ბრძანება საბრუნდენტო გადასახადის შესახებ. მან გვითხრა — მთავარმა ინჟინერმა მოგვცა სიტყვიერი ბრძანება, რომ მგზავრებისაგან ფული აკმეკრიფათ.  
საკითხავია, ქართველებმა ქვეყნის საქართველოში, ჩემს გზაზე, ჩემს ელმავლით და ვეგონით რომ ვინ-

მგზავრო, ჩემს მშობლიურ ქალაქში, რატომ უნდა გადავუხადო „პრესტროიკის“ გამომგონებელს და იმპერიის განმახლებელს მ. გორბაჩოვის ფული? რა უფლებები?  
ქ  
**ალა ნიკაშაძე,**  
სრულიად საქართველოს დამამხრებლის საზოგადოების წევრი.





25 მარტს საქართველოს ავტოკავალის აღდგენის დღეა

იგორ გიგორის კა ჩხიკიძე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოში დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის მატარიალურ-ტექნიკური მომსახურების და სახელმწიფო რეზერვების მინისტრად.



სახალხო ფრონტის დარბაზის სალონში. დღის წესრიგი: 1. რეფერენდუმი შესახებ; 2. საკრებულოების არჩევნების შესახებ. სსფ-ის სამდივნო.

მეხუთე საუკუნეში ლოკითა და ღვწლით წმინდის დიდისა მეფისა და ვახტანგ გორგასლისა საქართველოს ეკლესიის მეთაურად დადგინდა იქნა (488 წ.) კათოლიკოსი პეტრე. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების, გრძელი ეროვნული ტერიტორიების დაბრუნებისა და სპარსეთის ბატონობის მოსპობის შემდეგ მეფე ვახტანგმა იხება, რომ ქართული ეკლესია მოწყობილიყო, როგორც ერთიანი ცენტრალიზებული სამართავრო ეკლესია. ე. ი. დედაქალაქის (მცხეთის) ეპისკოპოსი საქართველოს ეკლესიისათვის გახდა საყოველთაო ეპისკოპოსი, ანუ კათოლიკოსი, რომლის უფლებრივი მდგომარეობა იმ დროის ბიზანტიის პატრიარქების ტოლად ითვლებოდა.

სათავეში ჩაუდგა ეგზარქოსი და ეკლესია რუსეთის სინოდს დაექვემდებარა. პირველი ეგზარქოსი მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი 1817 წელს რუსეთში გაიწვიეს და ამის შემდეგ ყოველი ეგზარქოსი, თანამდარ რუსეთის იმპერატორის ბრძანებისა, რუსი უნდა ყოფილიყო. 1811-1917 წლების განმავლობაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებული იყო რუსეთის იმპერიალისტური მთავრობის მიერ.

განცხადება

ა/წლის 25 მარტს, ორშაბათს, 14 საათზე, ყოფილ პოლიტგანათლების სახლში, დავით აღმაშენებლის 61, შედგება საქართველოს

კონტრაქტები საზღვარგარეთთან

რესპუბლიკის პარლამენტის მიერ გამოცხადებული გარდამავალი პერიოდის მიზანთა მისაღწევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა ეკონომიკის განმტკიცების მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებებთან კომპლექსის განხორციელებაა.

სამხრეთი (გენერალური დირექტორი ლ. თოფჩიძე, მთავარი ბუღალტერი — ვ. ვაშაიძე). მისი რესპუბლიკური დამფუძნებელია (ყოფილი) საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო. გათვალისწინებული 1000 მთელიდან გამოშვებული ჯერ არცერთი არ არის. არაა შექმნილი არანაირი საწარმოო ბაზა, ჩაშლილია პროდუქციის გამოშვების გეგმა 33 მლნ. მანეთზე, სავარაუდოდ მოგება, რა თქმა უნდა, მიღებული არ არის. ამასთან ხელფასი 24000 მანეთზე მეტია გამოცემული, ფაქტობრივად ერთობლივი საწარმოს მთელი მოქმედება მიმართული იყო საზღვარგარეთური პარტნიორებისაგან მზოლოდ ძვირადღირებული — 28 1000 ფინური მარკის ღირებულების

ჯერ ძირითად საქმიანობას არც შესდგამია, პირველ რიგში „მუშაობდა“ — და 17 ავტობუსებისა იქნა ერთ ადგილას იზრუნა. ამ ერთობლივ საწარმოში სულ 9 კაცი უნდაა დასაქმებული. რისთვის უნდა ამდენი მანქანა. გასავალი, შემოსავლის არ არსებობის პირობებში სახელმწიფო ხარჯებიდან იყარება, ხელფასის სხივით 20000 მანეთზე მეტია გადახდილი. ჩაშლილია ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება. საწარმოში არსებული 190000 მანეთის იმპორტული მატერიალური ღირებულება, აგრეთვე 17 მუშუქი მანქანა შემოწმების დღისათვის არავის ერიცხებოდა. ცხადია, ასეთმა პირობებმა შესაძლებელი გახდა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წყაროების 1129 გერმანულ მარკად ღირებული

მერი) 3000 მანეთის ოდენობის პრემია მისცა, თითქოსდა „მუშაობაში მიღწეული ეფექტისათვის“. აქაც საკითხავია, სადღა მთავარი ბუღალტრის გ. ქუჭოშვილის პრინციპული და „მანვილი“ თვალისა. გამოვლინდა საზღვარგარეთ შესყიდული სამომხმარებლო საქონლის განაწილებისა და რეალიზაციის უფლებამოსილებათა ბოროტად გამოყენების ფაქტები. ერთობლივმა საწარმომ „ზომბორა“ (პარტნიორები, ფრანგები, გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ა. გრძელიშვილი; მთავარი ბუღალტერი ი. ავთიანი), ავსტრიიდან შემოიტანა 683 ცალი ძვირადღირებული 248000 ამერიკული დოლარის ღირებულების საქონელი (ტყავის ქურთუკები, კოსტიუმები, ქურთუ-

ლადა, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს არ ამოწმებენ სანდომობის თვალსაზრისით, ამასთან, ყოველთვის როდი ხდება მათთან სრული მატერიალური პასუხისმგებლობის დამსრულებელი ხელშეკრულების დადება, აგრეთვე, ბრძანებების გამოცემა.

ვინ გვაზარალებს?

ამჯერად, ჩვენ ძირითადად ნაკლოვანებებსა და დარღვევებზე ვისაუბრებთ. რესპუბლიკის პროკურატურის მიერ სპეციალისტების მონაწილეობით ორგანიზებულმა შემოწმებამ უჩვენა, რომ ერთობლივ საწარმოს უმრავლესობა ვერ გაცდა მოსამზადებელ სამუშაოებს, ამ მთელ მიერ ჩატარებული მხოლოდ ცალკეული ოპერაციები. ეს იმის შედეგია, რომ მათი რესპუბლიკური დამფუძნებელი პასუხისმგებელი, საზღვარგარეთული თანამონაწილეობისაგან არ მოითხოვენ საწესდებო ფონდის ფორმირებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების შეტანას. შემთხვევით არ არის, რომ საზღვარგარეთული პარტნიორების შეთანხმებულ ხელშეკრულებათა შენარჩუნებული თანხების 10-30% — არ აღმუშაბენ სახვადგარად რომ ვთქვათ, ისინი ხარჯებს არ ეწევიან, რესპუბლიკური დამფუძნებლები კი, რომლებიც მატერიალურ ფასეულობას უზრუნველნი, გამოყოფილ ფონდებს ვერ ითვსებენ.

მსუბუქი ავტომანქანის — „შვედროლვე-ვაბრილი-კლასიკის“ — შესაძენად. ავარიის შედეგად მანქანა დაზიანებულია, ზარალი — აუნაზღაურებელი.

ერთობლივ საწარმო „ლიბერ“-ში მოუწყვნილებელია სამუშაო საუკეთესოა. ამერიკელმა პარტნიორმა (კომპანია „სტენ კორნელიუს ინი“) აღებული ვალდებულებანი არ შეასრულა. მატერიალური რესურსები „გაყიუნა“ 365 ათას მანეთზე.

თითო ტელევიზორი, რომელიც ერთობლივი საწარმოს კუთვნილება იყო, ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე გენერალური დირექტორის მ. იაშვილისა და დირექტორის (ტურიზის ხაზით) თ. შალიკაშვილის ოჯახებში აღმოჩნდა საინტერესოა, ეს ფაქტები და ერთობლივ საწარმოში შექმნილი საერთო სიტუაცია მის მთავარ ბუღალტრის გ. ფარქოსაძეს აღუვლებს თუ არა.

არ შეიძლება, მდუმარედ ავუაროთ გვერდი სხვა არც თუ უმნიშვნელო გარემოებებსაც. მაგალითად, მრავალი ერთობლივი საწარმოს სრული უმოქმედობის, გამართული წარმოების და მოგების მიუღებლობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ამ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, სხვა თანამდებობის პირებმა სინდისს შეხსნის გარეშე იღებენ სოლიდურ ხელფასებს, ზოგჯერ 1000-1500 მანეთსაც რომ აქარბებს.

სახელმწიფო ორგანიზაციებს, კომპრომისებსა და ერთობლივ საწარმოებს შორის ურთიერთობის ახალი ფორმები, ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ ხშირად გამოყენება ნდობით ბოროტად საგვიტობის, მომხვეჭელობის, ვიწრო ჯგუფობრივი ეგოისტური მისწრაფებების რეალიზაციის მიზნით. ისინი, პირველ რიგში, იღვიან საკუთარი კომპრომისათვის, ეწევიან გაუმართლებელ ხარჯებს მფარველის აპარატურის, სხვა ტექნიკის, უცხოური მარკის მსუბუქი ავტომანქანების შესაძენად და ა. შ.

ქანძრთვლობის დაცვისა და სპეციალური უზრუნველყოფის სამინისტროში არსებულ უხეშ დარღვევებზე იტყობინებოდა საქართველოს მინისტრთა სამბჭოს დედგენილებაც. დავუმატებთ მხოლოდ, რომ ინგლისელებთან ერთობლივ საწარმო „უნიფორმ“-ში (დამფუძნებელი საქფარმმედიკნიკა, გენერალური დირექტორი ი. ბეროშვილი, მთავარი ბუღალტერი მ. ჭიორანაშვილი) 1990 წელს მიღებული 200000 მანეთის ღირებულების 30 ნახშირი იაპონური მსუბუქი ავტომანქანა.

ზოგიერთი ერთობლივი საწარმო, წესდების საწინააღმდეგოდ, სავარყო ეკონომიკური საქმიანობის გაშლის მაგივრად სხვა მწარმოებას ეწევა.

ერთობლივი საწარმო „ამირანი“ (პარტნიორები იტალიიდან, ძირითადი დამფუძნებელი კომპანიატივი გავრიანება „დილომობ-89“), თავისი წესდებით მოწოდებულია 108 დასახელების პროდუქციის ექსპორტ-იმპორტისათვის. მაგრამ, აღნიშნული ნაცვლად, იგი ალტანის მხარის ბიისის ტყე-კომბინატში შეუდგა ხე-ტყის მასალის დამზადებას და ქვეყნის შიგნით კომერციულ-სახელმწიფოებრივ ფასებში რეალიზაციას. ბა-თუმის ფილიალისათვის გაგზავნილი 266 კუბ მეტრი ტყისათვის 53000 მანეთის ნაცვლად, ერთობლივმა საწარმომ კომბინატს გადაურცხა 195000 მანეთი, რაც თვით შესაძლებელი ავანსირების თანხებაც კი რამდენიმეჯერ აღემატება. ვაკვირებას იწვევს ის გარემოებაც, რომ მძუზნებელი ერთობლივი საწარმოს არამომგებიანობისა, მისმა გენერალურმა დირექტორმა გ. შავთვალაძემ თავის მოადგილეს ს. გრემიანკის (ბრძანება № 53, 1990 წლის 1 ოქტომ-

რის მინისტრთა სამბჭოსი. შიგვანი, რომ რესპუბლიკის მთავრობა კომპეტენციის მიხედვით გააკრევდა ერთობლივ საწარმოს საქმიანობაში არსებულ ამ დარღვევებში.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურატორის მოადგილე, იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამხმარებელი იურისტი.





# დაუჯდომელის შაბათი

დიდმარხვის მეხუთე შაბათი ღვთისმშობლის დაუჯდომელის დღეა.

დაუჯდომელი ანუ აკათისტო წარმოადგენს რომელიმე წმინდანის სახელზე შექმნილ საიდუმლო საგალობელს, რომელიც შეიძლება შესრულდეს წლის ნებისმიერ დღეს, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, ნებისმიერი მორწმუნის მიერ, ტაძარში, ოჯახში, ჯგუფურად, ინდივიდუალურად, მაგრამ აუცილებლად ფეხზე მდგომარე ან დაჩქარებული (აქედან მოდის მისი სახელწოდება დაუჯდომელი აკათისტო). დაუჯდომელი შედგება 12 კონდაკისა და ამდენივე იკოსისაგან. კონდაკი არის მოკლე სავედრებელი ლოცვა, რომელიც დაუჯდომელში თავდება სიტყვით „ალოილუია“. იკოსი არის თანმიმდევრულად ჩამოთვლილი ღირსებაანი წმინდანისა ან ღვთისმშობლისა, რომელსაც ეძღვნება დაუჯდომელი. თითოეული ღირსება იწყება სიტყვით „გინაზოდენ“. მისი რიცხვი მუდამ არის კენტი — 7 ან 13. ბოლო „გინაზოდენ“ ყველა იკოსში შეორდება. მე-13 კონდაკი სამგზის იკითხება. შემდეგ კვლავ შეორდება პირველი იკოსი და კონდაკი. ამრიგად, დაუჯდომელს აქვს წრიული სტრუქტურა, იგი მთავრდება იმავე კონდაკით და იკოსით, რომლითაც იწყება. დაუჯდომელი მთავრდება სავედრებელი ლოცვით.

დაუჯდომელი ვადიდებთ ღმერთს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და იმ წმინდანს, რომელსაც იგი ეძღვნება, წარმოვაჩინოთ მის დამსახურებას ერისა და ქვეყნისა წინაშე, მის თავდადებას საწმინტოებისათვის, ეკლესიისათვის, მადლობას გვირავთ, მას ვავედრებთ სამშობლოს, ერს, ახლობლებს. დიდი ძალა აქვს დაუჯდომელს, თუ რწმენით, სასიხარულო და ყველა წესის დაცვით შევასრულებთ. იგი ხომ წმინდანის საიდუმლო საგალობელია, წმინდანის კი მეოხია ჩვენსა და ღმერთს შორის.

მართლმადიდებლურმა ეკლესიამ თავისი არსებობის მანძილზე მრავალი დაუჯდომელი შექმნა. მაგალითად, წმინდისა დედისა ჩვენისა და მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინო ქართველთა განმანათლებლისა, მკობლისა დიდმოწამისა და ძლეველმოცილისა გიორგისა, წმინდისა ნიკოლოზისა, საკვირველმოქმედისა; სუეტისა ცხოველისა და კვარათისა საუფლოისა... უპირველესი მათ შორის არის დაუჯდომელი კურთხეულისა დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.

როდის და როგორ შეიქმნა იგი?

VI—VII საუკუნეებში ავბედითი გამოდგა ბიზანტიისათვის. ურიცხვი მტრის შემოსევებისაგან დაუძლურებული, ერთ დროს ბრწყინვალე იმპერია ერთი-მეორის მიყოლებით კარგავდა პროვინციებს. ანტიოქია, იერუსალიმი, სირია, ალექსანდრია უკვე აღარ ეკუთვნოდა მას. აფრიკის ვეზირების ერაყელს გამეფებამ (610 წ.) ერთხანს შეაჩერა ეს პროცესი, მაგრამ ძალე მოძალადეებმა მტრებმა ახალი ძალით შემოუტეეს ქვეყანას. VII საუკუნის ოციან წლებში სკვთების მთავარი ხაზანი დიდი ჯარით დასავლეთიდან დაიძრა ბიზანტიისაკენ, აღმოსავლეთიდან სპარსთა სარდალი სარკარი მოიწვედა მრავალიცხოვანი ლაშქრით. ერთ ბერძენზე ათი მომხდელი მოდიოდა. აშკარა დაღუპვა ელოდა კონსტანტინოპოლს. შიშს მოეკიდა ხალხს. პატრიარქი სერგი და ქალაქის თავი ეონოს პატრიქი ნუგუმს სცემდნენ ერს, მოუწოდებდნენ მას ელოცა და ჰქონოდა სასოება ღმერთისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა: „კადნიერი იქმნით, რამე თუ ღმერთი ჩვენ კერძო არს“ (მარხვანი). თვით პატრიარქი პაცხოვრის ხელთუქმნელი ხატით, ყოვლადპატიოსანი ჯვრითა და ღვთისმშობლის პატრიოსანი სამოსით უვლიდა გარს და ლოცვასადაუღუნდა. უსმინა უფალმამოლოცვლს — მოსრა მტრის მრავალიცხოვანი ლაშქარი. სასწაულმოხველი ხალხი დიდთა მითა ლაღაღებდა: „მეოხ გვექავ დედაო ღვთისა ჩვენისაო“ (მარხვანი).

უკანდახეულმა, დამარცხებულმა მტრმა ხელი არ აიღო განზრახვაზე; კვლავ მოაყრია ძალა. სარკარი და ხაზანი ხელმეორედ მოადგნენ კონსტანტინოპოლს. ამჯერად ზღვით მოდიოდა მოწინააღმდეგის უთვალავი მხედრობა. ზღვის კიდებე ღვთისმშობლის ტაძარი აღმართულიყო. სასოება, შიშაურ აშლილობასაც რომ ვერ გადაეურჩით. განსაკუთრებით ახლა გვეკიდება რწმენა და სასოება, ახლა გვეკიდება მსურველ ლოცვა. ვილოცოთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისათვის, ვიკითხოთ მისი დაუჯდომელი. ვინ, თუ არა ღვთისმშობელი შეისმენს ჩვენს ვედრებას, ვინ, თუ არა ღვთისმშობელი გვიხსნის განსაცდელისაგან. მამ წილოცოთ: „შეიწყნარე აწ დიდებულო, დედოფალო ჩემო სახიერო, გლახაკი ვედრებაი ჩემი... შენ შემიწყალე მე, შენ შემიწყალე მე, შენ იყავ თანამოქმედ ჩემდა ყოველსა საქმესა კეთილსა, ნებისაებრ ძისა შენისა და ღვთისა ჩემისა... შენ ხარ მფარველი ჩემი, შენ ჩემი წინამძღვარი, შენ ჩემი მოგზაური შენდამი და მიმსა ყოველი სასოებაი ჩემი, შენ იცი უღონობაი ჩემი, რამე თუ არავინ მაქუსგარანა შენ, და შენგან შობილი ქრისტე, ამისთვის ნუ მომიძაგებ, და ნუ განმავდებ შენ სახიერო...“ (დაუჯდომელი კურთხეულისა დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა).

### სოფიკო ლოხაიანიძე,

მასალები მომზადდა სახულიერო აკადემიის ქრისტიანული ანთროპოლოგიის კათედრაზე.

## იღუმენი ფილარეტი — „ზნეობრივი ღვთისმეტყველების კონსპექტი“

XXIV თაზი

სამშობლოს სამსახურის ვალი ქრისტიანებისათვის. ქრისტიანული შეხედულება ქომაზე (ღირსი ათანასე ათონელის და წმინდა მოციქულთასწორი კირილეს გამოწვევებით).

აშკარაა, რომ ის ქრისტიანული პატრიოტიზმი, რომელზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი, ყოველი ჩვენთაგანისგან შეძლებისდაგვარად მოითხოვს სამშობლოს სამსახურს. ადამიანი ემსახურება სამშობლოს, უპირველეს ყოვლისა, მაშინ როცა ის არის ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ სამსახურში. რა თქმა უნდა, ასეთი მსახურების ფასი უფრო იზრდება, როცა ის უანგაროდ, რაიმე მატერიალური ანგარიშისა და მოსაზრების გარეშე სრულდება; მაგრამ ადამიანი, ასე თუ ისე, მაშინაც ემსახურება თავის სახელმწიფოს, როცა მონაწილეობას იღებს მის ცხოვრებაში, მაგალითად, მუშაობს, გამოდის პრესით, მონაწილეობს საზოგადოებრივ არჩევნებში და ა. შ. აი, სწორედ აქ იგი უნდა ისწრაფოდეს იმისკენ, რომ სარგებლობა მოუტანოს სამშობლოს, მთელ თავის ხალხს, და მართოდენ საკუთარი (თუ პარტიული) ინტერესებით არ დაკავდეს. მხოლოდ მაშინ იქნება მისი სინდისი სუფთა. დაე, ნუ მიაღწევს იგი დიდ გარეგნულ წარმატებას, სამაგიეროდ პატიოსნად, ქრისტიანულად შეასრულებს პატრიოტის და სამშობლოს ერთგული შეილის ვალს.

მეგობარი ჰქონდა იცნობათ — უთქვამს ხალხს. ჰეშმარიტი პატრიოტის სიყვარული სამშობლოსადმი და თავისი ერისადმი განსაკუთრებით მძაფრად ვლინდება ყოველთვის განსაცდელისა და უბედურების დროს. ყველამ იცის, თუ როგორ გრძნობს თავს ის ადამიანი, რომლის ახლობლებიც მძიმედ არიან დაავადებულნი. მას გართობისა და სიამოვნების სურვილი არა აქვს, თავის დარდასა და ზრუნვაში ხშირად ჰამა დასმა, დასვენება და ძილიც კი ავიწყდება. დაახლოებით ამგვარი განცდა უნდა დაეუფლოს სამშობლოს უბედურების უამს მას, ვისაც ნამდვილად უყვარს თავისი ქვეყანა ღრმად და გულწრფელი სიყვარულით. თუ ჩვენი გული სავსეა მხოლოდ საკუთარი განცდებითა და ინტერესებით, თუ მხოლოდ გარეგნულია ჩვენი კვნესა და ოხვრა, ხოლო ჩვენი საქმე ისე შორსაა სიტყვისაგან, როგორც „აღმოსავალი დასავლისაგან“, მაშინ არ ყოფილა ჰეშმარიტი სამშობლოსთვის ჩვენი სიყვარული.


სამშობლოს სამსახურის საქმეში ერთ-ერთ ყველაზე დიდ და თავდადებულ გამბრბად სამშობლოსთვის სიკვდილი ითვლება, განსაკუთრებით — ომში სიკვდილი. ქრისტიანი მეომარი, სამშობლოსა და მისი სიწმიდეების დამცველი პირნათლად ასრულებს ქრისტეს მცნებას: „უფროასი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რათა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის“ (იოანე 15, 13).

რა თქმა უნდა, ომი თავისთავად ბოროტებაა, იგია უღარესად სამწუხარო მოვლენა, რომელმაც ღრმად ეწინააღმდეგება ქრისტი-

ანულ საფუძვლებს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ სასიხარულო იქნებოდა, ადამიანებს რომ არ ეომათ ერთმანეთის წინააღმდეგ და დედამიწაზე დამკვიდრებულიყო მშვიდობა. მაგრამ, სამწუხაროდ, სინამდვილე სულ სხვაგვარია და მხოლოდ გულუბრყვილო მეოცნებებს, ვიწროდ და ცალმხრივად მოაზროვნე სექტანტებს შეუძლიათ უარყონ ომი, არ დაუშვან მისი არსებობა რეალურ ცხოვრებაში.

სამართლიანია, როცა მიუთითებენ მცნებაზე „არა კაც ჰკლა“ და ამბობენ, რომ ომი ამ მცნების დარღვევაა. ეს არ არის საკმაოდ სწორი. ეს არ არის საკმაოდ სწორი. თუმცა, ჩვენ ვხედავთ, რომ ძველი აღთქმის ხანაში, როცა ეს მცნება დადგინდა, ისრაელის ერი იბრძოდა ღვთის ბრძანებით და ღვთის შეწყვენით ამარცხებდა მტრებს. გარდა ამისა, ძველ აღთქმაში არის კანონი, რომლის თანახმადაც ადამიანი, რომელიც შეურაცხყოფს თავის მშობლებს, სიკვდილით უნდა დაისჯოს. აქედან გამომდინარე, მცნება — „არა კაც ჰკლა“ არ ვრცელდება ადამიანის სიცოცხლის წართმევის უკლებლივ ყველა შემთხვევაზე. ამ მცნებით იკრძალება პირადი ანგარიშსწორება ერთი ადამიანის მეორესთან მისი საკუთარი გააფრთხილებით და ნებით. როცა უფალი ახალ აღთქმაში ხსნიდა ამ მცნების ღრმა აზრს, მან მიუთითა, რომ ამით იკრძალება არა მხოლოდ მკვლელობა, არამედ საერთოდ, არაქრისტიანული, უსაფუძვლო რისხვა. მაგრამ, მეორეს მხრივ, როდესაც მოციქულებმა უკანასკნელი დღეების შესახებ ესაუბრებოდნენ, უფალმა თქვა: „და ოდეს გესმოდინა ბრძოლანი და შფოთნი, ნუ შესძრუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე პირველად ყოფად“ (ლუკა 21, 9). ამ სიტყვებით ჩანს, რომ გარდაუვალია ომი, უკუიგდება ომის მოწინააღმდეგეების ყველა განცხადება, თითქმის ქრისტიანობა სრულ უგულებელყოფამდე უარყოფს ომს და მასში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებს. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ომი კაცობრიობის ცხოვრებაში უარყოფითი მოვლენაა, თუმცა ის იარსებებს როგორც დედა მიწაზე არსებული, ზოგჯერ ერთადერთი საშუალება დაპყრობისაგან თავდასაცავად, თავდასხმისაგან ხომარათისა, შეურაცხყოფილი სიწმიდეების და ხალხის უფლებების დაცვისა. მხოლოდ ასეთ ომებს იცავს ქრისტიანობა. სამართლიანობის, წესრიგის აღდგენისა და სიმართლისათვის ბრძოლას. აპოკალიფსში ხომ ვკითხულობთ, რომ ომი ზეცაშიც იყო (აპოკ. XII, 7) — როცა წმიდა მთავარანგელოზმა მიქაელმა და ანგელოზებმა დაამხეს და განდევნეს ზეციდან ღვთის მოლატე. — ეშმაკი ქავის თანამოსაზრე დაცემულ ანგელოზებთან ერთად.

ქართველი ათონელი მამების ცხოვრებიდან ცნობილია ისეთი, შემთხვევა: ივერთა მონასტერში ბერად აღიკვეცა ქართველი თავადი თორნიკე — უწინ გამოჩენილი მხედართმთავარი ბერძენო არმიისა. ქვეყნისათვის ძნელ წუთებში იმპერატორის მეუღლემ —



ზოიამ მოიხმო თორნიკე და სთხოვა, რომ ჯარისათვის ეწინააღმდეგებოდა. თორნიკემ მტკიცე უარი განუცხადა, რადგან უკვე ბერად იყო აღკვეცილი. მაგრამ ღირსმა მამა იოანემ უთხრა მას: „ყველანი ერთი სამშობლოს შეილები ვართ და ჩვენი ვალია დავიცვათ სამშობლო მტრებისაგან ლოცვით, მაგრამ თუ უმალლესი ხელისუფლება საჭიროდ თვლის, გამოიყენოს ჩვენი ხელები და მკერდი ხალხის დასაცავად. ჩვენ უსიტყვოდ უნდა დავემორჩილოთ მას... თუ შენ არ დაპყვები მეფის ნებას, მაშინ პასუხს აგებ შენი თანამემამულეების სისხლისათვის, რომელთა ზღადარჩენაც არ ისურვე, პასუხს აგებ უფლის ტაძრების ნგრევის გამოც...“ თორნიკე დამორჩილდა, დაამარცხა მტერი და გადაარჩინა სამშობლო საშიშროებისაგან. წმ. მოციქულთასწორი კირილე მაკედონელი თანაუბრებოდა ომის შესახებ, ეუბნებოდა მათ: „ჩვენ დიდსულოვნად ვითმენთ პირად წყენას, მაგრამ საზოგადოებაში ერთმანეთს ვიცავთ. საკუთარ სიცოცხლეს ვდებთ მოყვასისათვის, რათა თქვენ, როცა დაატყვევებთ ჩვენს თანამოქალაქეებს, არ აიძულოთ ისინი უარყონ საწმინტოება და ჩაიდინონ ღვთისსაწინააღმდეგო მოქმედება...“ და ბოლოს, რომელი რუსი ადამიანისთვის არ არის ცნობილი ღირსი სერგი რადონეჟელი მაგალითი, რომელმაც საომრად აყურთხა თავადი დიმიტრი დონეი, რომელიც ლოცულობდა რუსთა ლაშქრის წარმატებისათვის და მოიხსენიებდა ბრძოლის ველზე დაღუპულ მეომრებს. რაღა ვთქვათ დიდ თამარ მეფეზე, რომელიც ლოცავდა და აყურთხებდა მტრის წინააღმდეგ მიმავალ ქართველთა ლაშქარს.

რა თქმა უნდა, ომში მონაწილეობის დროს ადამიანი შეიძლება სცოდავდეს და მძიმედაც სცოდავდეს. ეს ხდება მაშინ, როცა ის ბრძოლის დროს პირადი სიძულვილის და შურისძიების გრძნობით ან პატივმოყვარეობით და ამპარტავნული მისწრაფებებით არის აღვსილი და პირიქით, რაც უფრო ნაკლებად ფიქრობს იგი საკუთარ თავზე და მთელი თავგანწირვით მზადაა სიცოცხლე შესწიროს სხვებს — მით უფრო ახლოა მოწამებრივ გვირგვინთან.


იხევეთა მამა არჩილის რეკომენდაციით.

ითარგმნა თბილისის სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ანთროპოლოგიის კათედრაზე.










# საქართველოს კონგრესის გვირგვინი



ბრძანებული ბედი დაკავით დამფუძნებელ კრებებს — ბევრი მათგანი დღესაც უღიბლო გამოდგა. სახალხო წარმომადგენლობის ამ ორგანოებმა დაწყებული საქმის დამთავრება ვერ მოასწრეს, რადგან ისინი დროზე ადრე იქნენ დათხოვილი-გარეკილი.

„დაე, ნუ იქნება ასე! დაე, სოციალ-დემოკრატიულმა და მ. ფუნდამენტალმა კრებამ დაე, მან შეხედოს პირველად შეხარულობის თავის მოვალეობა ერისა და სამშობლოს წინაშე“ — ნატრობდა ქრისტეფორე რაჭველიშვილი საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის დღეს.

ქართული საზოგადოებრიობა უდიდეს იმედს ამყარებდა დემოკრატიული წესით არჩეულ მრავალპარტიულ ერთეულ საკრებულოზე, რომლის პირველი სხდომა 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა თბილისში, მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში.

ჩვენი ერის ისტორიაში წარუშლელი იქნება დამფუძნებელი კრების მოწვევის დღე. ეს მფორე დღეა თავის ხილადით, თავის მნიშვნელობით. ამ დღემ უნდა დაავიწყდეს ჩვენი განთავისუფლება, ჩვენი აღდგენა და სიხარული: გუშინდელისკენ, მონობისკენ გზა მოკრილია სამუდამოდ, სამუდამოდ!

და იცოდეს ამერიკიდან მტერმაც და მოყვარებმაც, რომ ქართველი



ერის ისტორია, დროებით შეჩერებული, კვლავ განაგრძობს მხვედლობას, ქართველი ერის გენია კვლავ ტანტზე წის და მიხი შემოქმედების სხივები მთელს საქართველოს ეფრქვევა, აცხოველებს და გულს აღუძრავს სრული ცხოვრებისათვის“ — წერდა ამ დღეს ცნობილი ქართველი მოღვაწე, დამფუძნებელი კრების წევრი სამსონ ფირცხალავა გაზეთ „სახალხო საქმის“ ფურცლებზე.

დამფუძნებელ კრებას დემოკრატიულ საქართველოში არავინ დაუტოვებია გულგრილი. გასაგებია, ამ კრების უმთავრეს მიზანს ხომ აღდგენილი ერთეული სახელმწიფოებრიობის დემოკრატიულ საფუძველზე დამკვიდრება და საქართველოს რესპუბლიკის ძირითადი კანონის — კონსტიტუციის შემუშავება შეადგენდა.

დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება საქართველოს ერთეულმა პარლამენტმა შეიმუშავა და მიიღო 1918 წლის 2 ნოემბერს. ერის უზენაესი ორგანო 130 წევრისაგან უნდა შემდგარიყო. საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნები ტარდებოდა პროპორციული სისტემით. საარჩევნო უფლებით სარგებლობდნენ რესპუბლიკის მოქალაქენი, რომელთაც არჩევნების დღისათვის 20 წელი შეუსრულდათ.

არჩევნების მოსაწყობად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (შედგებოდა 21 წევრისაგან, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს წარმომადგენდნენ, კომისიის თავმჯდომარე იყო სოც. დემოკრატი ალ. ლომთათიძე, მოადგილე — სოც. ფედერალისტი თ. ლონტი, ხაზინადარი — ეროვნულ-დემოკრატი გ. გვახავა) საქართველოს პარლამენტმა 4 მილიონი მანეთი გამოუყო. შეიქმნა საქალაქო, სამხარო, სოფლის საზოგადოებებისა და სხვა საარჩევნო კომისიები. შედგა ამომრჩეველთა სიები. მოეწყო საარჩევნო უბნები. საგულისხმოა, რომ საქართველოს რესპუბლიკის პირველი ეროვნული საკრებულოს არჩევნების №1 საარჩევნო უბანი მოთავსებული იყო ერის უპირველესი სასწავლებლის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში.

„ხალხი მეტად დაინტერესებულია დამფუძნებელი კრების არჩევნებით. რევოლუციის პირველი დღეების შემდეგ არც ერთ არჩევნებს არ გამოუწვევია ასეთი ინტერესი“, — შენიშნავდა გაზეთი „ერთობა“ (1918 წ., 18 თებერვალი).

პოლიტიკური პარტიები აქტიურად ჩაებნენ საარჩევნო კამპანიაში. „დამფუძნებელი კრების არჩევნებში ხიტუვიერ და წერილობით ავტაციათან ერთად დიდ როლს თამაშობდა პლაკატები. ეს იყო პატარა მხატვრული ამერიკული ხისტების გადმონერგვისა ჩვენში“ — მიუთითებდა გაზეთის კორესპონდენტი.

თბილისის პარტია ეცილებოდა ერთმანეთს დამფუძნებელი კრების მანდატებს: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული, საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა (იყვნენ სხვა ორგანიზაციებიც, მათზე ქვემოთ). ფავორიტად მაინც ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი სოციალ-დემოკრატიული პარტია ითვლებოდა. ამ პარტიის მესვეურნი არჩევნებში მთავარ კონკურენტად ეროვნულ-დემოკრატებს მიიჩნევდნენ და ამიტომაც წინა საარჩევნო ბრძოლა მათთან პოლიტიკური დაპირისპირების ნიშნით წარმოებდა. სოციალ-დემოკრატებმა მოწინააღმდეგის კომპრომეტაციის მიზნით გამოიყენეს პლაკატი, რომელზეც გამოხატული იყო „თავი“ და მოუწოდებდნენ გაეშვიებინათ შრომელი გლეხი ექსპლუატატორი შემამულეების ინტერესთა დამცველი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატები.

